



## მრგვალი მაგიდა: „თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა საქართველოში“

16 ივლისი, 2013 წელი

თბილისი

საჯარო სამსახურის ბიუროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება - GIZ-ის ორგანიზებით, გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე - „თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა საქართველოში“. დღესდღეობით საქართველოში არსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სისტემა არ მოიცავს მონიტორინგის მექანიზმს. დეკლარაციების მონიტორინგი კი კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დონეზე აპრობირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვა საქართველოში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მთავრობას ნაკისრი აქვს მონიტორინგის დანერგვის ვალდებულება: ეროვნული ანტი-კორუფციული საბჭოს ფარგლებში, NATO-ს წლიური სამოქმედო პროგრამის ფარგლებში (ANP); ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში (OGP) და სხვა. 16 ივლისს გამართული მრგვალი მაგიდა დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

## შეხვედრის ძირითადი მიზნები:

- ქონებრივი მდგომარობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემებთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტისგან ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება;
- ქონებრივი მდგომარობის დეკლარაციების არსებული სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ადგილობრივი არასამთავრობო და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების მიერ მოსაზრებების გაზიარება;
- ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით მსჯელობა და საქართველოსთვის შესაფერისი სისტემის განსაზღვრა.

## პრეზენტაციები

### ირაკლი კოტეტიშვილი

#### საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი

ირაკლი კოტეტიშვილმა წარმოადგინა საქართველოში არსებული თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული სისტემა ([www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge)) 2010 წლიდან დღემდე. მან აღნიშნა, რომ სისტემა წარმატებულად ფუნქციონირებს, რამდენადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის პროცედურები. სისტემამ გაამარტივა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებზე წვდომა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ეს კი, საჯარო სექტორში კორუფციასთან ბრძოლის, გამჭვირვალე და ეფექტური მმართველობის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. თავის მოხსენებაში, ირაკლი კოტეტიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულმა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონულმა სისტემამ 2013 წელს მიიღო გაეროს საჯარო სამსახურის პრესტიჟური ჯილდო, ნომინაციაში „კორუფციის პრევენცია და დამარცხება საჯარო სამსახურში“.

ირაკლი კოტეტიშვილმა, ასევე ისაუბრა დეკლარაციების სისტემის სამომავლო გაუმჯობესებაზე და წარმოადგინა თავისი ხედვა. მან აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში გაეშვება ვებ-გვერდის ახალი ვერსია და სისტემას დაემატება უფრო მეტი ეფექტური ანალიტიკური საძიებო ინსტრუმენტები, რაც საშუალებას მისცემს

საზოგადოებას მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით მეტი საინტერესო ინფორმაცია მიიღოს; ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული სისტემა სრულად იქნება ინტეგრირებული ყველა მობაილ პლატფორმაზე; გაიზრდება იმ თანამდებობის პირთა სია, ვისთვისაც სავალდებულოა დეკლარაციის შევსება; ამასთანავე, ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა დაინერგება 2014 წლის ბოლომდე.

## **ლაურა პოპი**

### **მსოფლიო ბანკის ექსპერტი**

შეხვედრაზე ლაურა პოპმა ორი მოხსენება გააკეთა: „თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები: გლობალური და რეგიონული პერსპექტივა“ და „ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა“. პირველ მოხსენებაში მან მსოფლიო ბანკის ფინანსური დეკლარაციების სამართლებრივი ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით ზოგადად ისაუბრა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების, ზოგადი ტენდენციების და გამოწვევების შესახებ, გლობალური და რეგიონალური პერსპექტივების გათვალისწინებით.

მეორე მოხსენებაში, ლაურა პოპმა ისაუბრა მონიტორინგის მექანიზმის მნიშვნელობაზე საქართველოს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სისტემის სრულყოფისათვის და უფრო ფართოდ განიხილა აღნიშნული საკითხი: რას გულისხმობს მონიტორინგი; რამდენი დეკლარაციის შემოწმებაა შესაძლებელი ერთ ციკლში; რა კრიტერიუმით უნდა შეირჩეს შესამოწმებელი დეკლარაციები; რა ხდება როდესაც სამალთაღმარაღვევას აქვს ადგილი და ა.შ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნათლად განისაზღვროს მონიტორინგის რომელი მეთოდი დაინერგება ქვეყანაში: 1) შემთხვევითი შერჩევის მეთოდი; 2) რისკზე დაფუძნებული მიდგომა; 3) გარედან მიღებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული მიდგომა; 4) სახელმწიფო უწყებებიდან მიღებულ ცნობებზე დაფუძნებული მიდგომა. ლაურა პოპის მოხსენებას მოჰყვა აქტიური დისკუსია, რომლის დროსაც მსმენელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა შემთხვევითი შერჩევის მეთოდს, გასაჩივრების საფუძველზე გადამოწმების მეთოდთან ინტეგრირებით.

## ერეკლე ურუშაძე

### საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს პროექტების მენეჯერი

ერეკლე ურუშაძემ თავის მოხსენებაში ისაუბრა თუ როგორ იყენებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს მონიტორინგისთვის და როგორ ეხმარება ეს სისტემა მათ მუშაობაში. მან დადებითად შეაფასა საქართველოში არსებული ქონებრივი დეკლარაციების სისტემა და ამასთან, გამოავლინა სისტემასთან დაკავშირებული მთელი რიგი ხარვეზები და გამოწვევები, მაგალითად: თანამდებობის პირები ზოგიერთ შემთხვევაში არ ახდენენ საკუთარი ქონების და/ან ბიზნეს კავშირების დეკლარირებას; ზოგჯერ, თანამდებობის პირები საკუთარი ქონების დეკლარირების თავიდან აცილების მიზნით არაპირდაპირი მფლობელობის სქემებით სარგებლობენ; ადგილობრივი თვითმმართველობების წევრების დიდი ნაწილი, ასევე მთავრობის შექმნილი ფონდების წარმომადგენელი მაღალი რანგის თანამდებობის პირები არ არიან ვალდებული შეავსონ ქონებრივი დეკლარაცია, მაშინ როდესაც ისინი დიდწილად არიან პასუხისმგებელი სახელმწიფო ფინანსების განკარგვაზე და ა.შ.

მონიტორინგის სისტემებთან დაკავშირებით, ერეკლე ურუშაძემ წარმოადგინა საკუთარი ხედვა, რომელიც გულისხმობს საჯარო სამსახურის ბიუროს ქონებრივი დეკლარაციების მონაცემთა ბაზის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საწარმოებისა, მიწის რეესტრის მონაცემების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული შესყიდვების სისტემის მონაცემების ურთიერთ შედარებას და დეკლარაციაში წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმებას. ამასთან, მონიტორინგის სისტემის მეტი ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვანია გაიზარდოს იმ თანამდებობის პირთა სია, ვისთვისაც სავალდებულოა დეკლარაციების შევსება; ასევე, დაემატოს კომპანიების საიდენტიფიკაციო კოდები, პირადი ნომრები და მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები.

## ლევან ავალიშვილი

### ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

ლევან ავალიშვილმა თავის მოხსენებაში მიმოიხილა აღნიშნული თემის რელევანტური საერთაშორისო პრაქტიკა და ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლზე ქონებრივი დეკლარაციების სისტემის განვითარებაში. მან განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება ქონებრივი დეკლარაციების

პროაქტიულ გამოქვეყნებაზე და აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვნად ზოგავს დროის, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს.

მოხსენების ბოლო ნაწილში, ლევან ავალიშვილმა ქონებრივი დეკლარაციების სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით საჯარო სამსახურის ბიუროს რამდენიმე რეკომენდაცია შესთავაზა. კერძოდ, აღნიშნა, რომ დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თანამდებობის პირების მივლინებებისა და ოფიციალური ვიზიტების ხარჯების შესახებ; ასევე, თანამდებობის პირების ხელფასები და ბონუსები უნდა მიეთითებოდეს განცალკევებულად.

### **შეხვედრის შედეგი:**

დისკუსიის დასასრულს, მრგვალი მაგიდის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მონიტორინგის მექანიზმი აუცილებელი კომპონენტია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სისტემისთვის და მისი შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოსთვის. გადაწყდა, რომ ეფექტური მექანიზმის შერჩევის პროცესში კვლავ იქნება საჭირო სამომავლო სამუშაო განხილვები და ექსპერტთა რეკომენდაციები; ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ აიღოს პასუხისმგებლობა და მხარი დაუჭიროს საჯარო სამსახურის ბიუროს ამ საკითხებზე მუშაობის პროცესში.

შეხვედრა დაასრულა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა, ირაკლი კოტეტიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების საჭიროება ნამდვილად დგას და საქართველოს საჯარო სამსახურის დღევანდელი საჭიროებებიდან გამომდინარე, მონიტორინგის მექანიზმის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი არის შემთხვევით შერჩევაზე დაფუძნებული მიდგომა, საჩივრებზე დაფუძნებულ სისტემასთან ერთად.